



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 დეკემბერი, 2016 წელი

დრო: 12:00 – 14:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Frontlineclub Georgia

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ანა ნაცვლიშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
2. ირმა პავლიაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
4. ირინა ფუტყარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
5. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
6. ლიკა დარჩია - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
7. გუნა ბიბილეიშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
8. ნიკოლოზ ლეგაშვილი - კონსტიტუციის 42 მუხლი
9. ლაშა მკურნალიძე - „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“
10. მედეა აბრამია - „ჯანმრთელი ბავშვები“
11. სალომე ჩაგელიშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
12. არინა თავაქარაშვილი - მეგობრობის ხიდი ქართლოსი
13. ლევან გეგეშიძე - მეგობრობის ხიდი ქართლოსი
14. ქეთევან კურცხალია - ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი

განსახილველი საკითხები:

- „საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფის ძირითადი ასპექტები“ - პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა;
- „ჯანმრთელი ბავშვები“ - პრეზენტაცია;
- პლატფორმის წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და წინადადებების განხილვა;
- სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა საქართველოს საარჩევნო სისტემის გამოწვევები. რადგანაც, ქალბატონმა მანანა ბიწაძე-მიქელაძემ ვერ შეძლო შეხვედრაზე დასწრება, ორგანიზაციის „საზოგადოებრივი დამცველი“ წარმომადგენელმა ქალბატონმა ირინა ფუტყარაძემ მოკლედ მიმოიხილა პოლიტიკის დოკუმენტი „საქართველოს საარჩევნო სისტემის სრულყოფის ძირითადი ასპექტები“ და შესთავაზა ჯგუფის წევრებს აქტიურად იმუშაონ არჩევნების საკითხებზე, ასევე მოუწოდა არჩევნების ქვეჯგუფის წევრებს აქტიურობისკენ.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნინო ხუბუამ ისაუბრა მათი ორგანიზაციის მიერ, იმერეთის 12 მუნიციპალიტეტში, ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის შედეგების შესახებ. როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, მოსახლეობას არ ქონდა ინფორმაცია მაჟორიტარული ოლქების დაყოფის ახალი წესის შესახებ, ასევე დაბალი იყო მათი სამართლებრივი თვითშეგნება არჩევნებთან დაკავშირებით. მან ასევე წარადგინა ინიციატივა დაიწყო შეხვედრები მაჟორიტარული ოლქების დაყოფის ახალი წესის შესახებ, მოიწვიონ მაჟორიტარები, ბიუროები და იმსჯელონ მათთან ერთად. გარდა ამისა, სასურველია, პლატფორმამ შეიმუშაოს სტრატეგია საქართველოს საარჩევნო სისტემის საკითხებზე და წევრი ორგანიზაციების კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად იმუშაოს საარჩევნო თემატიკით განსაზღვრულ საკითხებზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენელმა ქალბატონმა ირმა პავლიაშვილმა ისაუბრა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ცვლილების შესახებ და მოკლედ მიმოიხილა საიას მიერ ჯერ კიდევ 2014 წელს ხელისუფლებისთვის შეთავაზებული რეკომენდაციები.

ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი - ქართლოსის“ წარმომადგენელმა ქალბატონმა არინა თავაქარაშვილმა და კონსტიტუციის 42-ე მუხლის აღმასრულებელმა დირექტორმა, ბატონმა ნიკოლოზ ლეგაშვილმა ისაუბრეს არასმთავრობო ორგანიზაციების აქტიურობის მნიშვნელობაზე საარჩევნო სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელების პროცესში.

„ლიბერალური აკადემია თბილისი“-ს წარმომადგენელმა ბატონმა ლაშა ტულუშმა წარადგინა ინიციატივა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ შეიმუშაოს ერთიანი მიდგომა და შეჯერდეს ერთ ან ორ კონკრეტულ მოდელზე, რომელსაც მხარს დაუჭერს მთელი პლატფორმა. გარდა ამისა, როგორც ბატონმა ლაშამ გააჟღერა, უკვე შერჩეულ მოდელზე დაყრდნობით, კარგი იქნება, პლატფორმამ შეიმუშაოს კანონპროექტი და განსახილველად წარადგინოს პარლამენტში. მან ასევე ხაზი გაუსვა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობის საჭიროებას.

ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა ანა ნაცვლიშვილმა წარადგინა წინადადება შეიქმნას დროებითი, საარჩევნო საკითხებზე თემატურად მომუშავე ჯგუფები, მათ შორის ქალთა

პოლიტიკურ მონაწილეობასა და კომისიების დაკომპლექტების საკითხებზე. ამ ჯგუფებში კი მონაწილეობა მიიღონ პირველი ჯგუფის იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომელსაც აქვთ ინტერესი და რესურსი შეხვედრებში აქტიური ჩართულობისთვის. შეხვედრების შედეგი იქნება დასკვნა/რეკომენდაცია, რომელსაც შემდგომ განსახილველად წარუდგენენ მთელ პირველ ჯგუფს. მან ასევე დასძინა, რომ თემატური საკითხების ჩამონათვალი 23 დეკემბრამდე გამოეგზავნება სამდივნოს, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას გაავრცელებს პირველი ჯგუფის სამუშაო Google ჯგუფში და დაინტერესებულ ორგანიზაციებს ექნებათ შესაძლებლობა დააფიქსირონ რომელ თემატურ ჯგუფში სურთ ჩართვა.

ჯგუფი ასევე შეთანხმდა, რომ იანვრის მეორე ნახევარში ჩაინიშნოს შეხვედრა, სადაც მოხდება საარჩევნო სისტემის ორ ძირითად მოდელზე შეთანხმება, რომელსაც შემდგომ გაეცნობა მთელი პლატფორმა და თებერვლის ბოლოსთვის პლატფორმას ექნება გაზიარებული, ყველასთვის მისაღები ორი მოდელი.

ორგანიზაციის „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“ წარმომადგენელმა ბატონმა ლაშა მკურნალძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ მოდელზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით აქტიურად იმუშაოს პლატფორმამ.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა მოისმინა ორგანიზაციის, „ჯანმრთელი ბავშვები“, წარმომადგენლის ქალბატონი მედეა აბრამიას მოხსენება. ქალბატონი მედეა ასევე გახლავთ გერმანიის ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაციის „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალის“ წარმომადგენელი საქართველოში. როგორც მან აღნიშნა, ეს ორგანიზაცია 1994 წლიდან ეხმარება საქართველოს და მიჰყავს ქართველი ბავშვები გერმანიაში სამკურნალოდ. ამასთანავე, ისინი მუდმივად აგზავნიან ჰუმანიტარული დახმარების სახით სამედიცინო აპარატურას, ყავარჯნებს, ეტლებს, წამლებს და სხვა, თუმცა ამ ეტაპზე, ჯანდაცვის სისტემაში არსებული საკანონმდებლო ბაზის მოუქნელობისა და სხვა ტექნიკური ხარვეზების გამო, შეჩერებულია ჰუმანიტარული ტვირთის (წამლების) მიღება, რაც თავის მხრივ ფატალურ გავლენას ახდენს იმ ბავშვებზე, რომლებიც ამ ტვირთზე არიან დამოკიდებულნი და ასეთები, ნამდვილად, ძალიან ბევრნი არიან. შეჩერების მიზეზი ძალიან კონკრეტულია, კერძოდ, იქმნება პრობლემები საბაჟო სამსახურთან, მიღებული წამლების განბაჟების წესის გამო.

საკითხთან დაკავშირებით, ქალბატონმა მედეამ ითხოვა დახმარება, რომ პლატფორმა გვერდში დაუდგეს ამ ორგანიზაციას და იფიქრონ გამოსავლის ძიებაზე.

ჯგუფის კოორდინატორმა ქალბატონმა ანა ნაცვლიშვილმა, შესთავაზა, პლატფორმის მხარდაჭერით, გაუგზავნონ წერილი ჯანდაცვის მინისტრს, სადაც მოკლედ იქნება ახსნილი მათი ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ, აღწერილი იქნება პრობლემა, წერილს თან დაერთოს გერმანული ორგანიზაციის მხარდაჭერის წერილი და მშობელთა წერილი, ხელმოწერებით. წერილში კი მოთხოვნილი იყოს გაიცეს სპეციალური ნებართვის ცნობა, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ამ ორგანიზაციას აქვს უფლება შემოიტანოს კონკრეტული დასახელების წამლები, რათა თავიდან აიცილონ საზღვარზე არსებული პრობლემები.

დროის სიმცირიდან გამომდინარე, ჯგუფმა ვერ შეძლო წესდებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.